


ქართული ენის ანსოღნა, როგორც გემოწვევა პოლიტიკურ პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის თვალსაზრისით

პოლიტიკის დოკუმენტი



ავტორი:

სოფიკო ტაბატაძე



შენიშვნა:

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მასალა მომზადდა პროექტის, „ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორინგისთვის საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და მისი შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას.

შინაარსი

აბსტრაქტი.....	4
შესავალი.....	5
I. თავი: ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციის საკითხი	6
1.1. სომხური და აზერბაიჯანული წარმომობის საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზები და ეფექტები	7
1.2. სომხური და აზერბაიჯანული წარმომობის საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებში სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი და პოლიტიკური ინტეგრაცია	10
1.3. მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა	12
II თავი: პოლიტიკის ალტერნატივები	13
2.1 ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სკოლებისა და საბავშვო ბაღების რაოდენობის გაზრდა	13
2.2. ეთნიკური უმცირესობებისთვის ზოგადი სასწავლო პროგრამის შემუშავება	14
2.3 ეთნიკური ჯგუფებისთვის სახელმძღვანელოების შემუშავება და მასწავლებლების გადამზადება.....	14
III თავი: უმჯობესი პოლიტიკის კურსის განსაზღვრა.....	15
დასკვნა და რეკომენდაციები	17
რეკომენდაციები.....	17
დასკვნა.....	18
დანართი	19
გამოყენებული ლიტერატურა	23

აბსტრაქტი

საქართველოს სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციის საკითხი. მონაცემების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები აქტიურად არ მონაწილეობენ ისეთ პოლიტიკურ აქტივობებში როგორებიცაა: არჩევნები, ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავება და ა.შ. მეტიც, მათგან ნახევარზე მეტს ქვეყნის არჩევნებში ერთხელაც არ მიუღია მონაწილეობა (socialjustice & ღია საზოგადოება, 2022). ეს მდგომარეობა გამოწვევის წინაშე აყენებს საზოგადოების ჰარმონიულ და დემოკრატიულ განვითარებას. პოლიტიკური პროცესებისგან ეთნიკური უმცირესობების გათიშულობა იწვევს მათი სოციალური ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების განხორციელების შეფერხებას. დოკუმენტის მიზანია, გამოავლინოს ეთნიკური უმცირესობებისთვის პოლიტიკური ინტეგრაციის შემაფერხებელი მიზეზები და დასახოს მოგვარების გზები. დასაკვირვებლად შერჩეულ იქნა საქართველოში ორი ყველაზე დიდი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფი: სომხური და აზერბაიჯანული თემი (საქსტატი, 2022). ვინაიდან, რაოდენობის გამო, მათ მეტი პოტენციალი აქვთ გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე. კვლევის მიზნებისთვის განხორციელდა შემდეგი: 1. თემატური სტატიების ანგარიშების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და ინტერვიუების გაანალიზება; 2. ჩატარებული სამაგიდო კვლევის მონაცემების გაანალიზება თვისებრივი კვლევის შინაარსობრივი კონტენტ-ანალიზით; 3. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციის საკითხით დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების ჩატარება; 4. შეგროვებული ემპირიული ცნობების საფუძველზე პოლიტიკური ინტეგრაციის შემაფერხებელი მიზეზებისა და მათი ალტერნატივების განსაზღვრა. მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით მთავარი გამოწვევაა ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი. ვინაიდან, ეს მათთვის შეუძლებელს ხდის გამონათონ და დაიცვან საკუთარი ინტერესები. შესაბამისად, ბუნებრივია ფერხდება მათი პოლიტიკური ინტეგრაცია. ამ საკითხის მოსაგვარებლად კი, მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის გატარება დაიწყოს სკოლის ასაკიდანვე. შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების გატარება.

შესავალი

საქართველოს მოსახლეობა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს მოიცავს - ქვეყნის მოსახლეობის 15.2%-ს სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ. მათ შორის უმრავლესობას ძირითადად სომხური (საქართველოს მოსახლეობის 5.7-%) და აზერბაიჯანული (საქართველოს მოსახლეობის 6.5%) წარმოშობის საქართველოს მოქალაქეები (საქსტატი, 2022) წარმოადგენენ. ხოლო ქვეყანაში პრიორიტეტულადაა აღიარებული ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება, ხარისხიანი განათლების მიწოდება, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2021), ვინაიდან ეს უზრუნველყოფს მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებას და მის ლიბერალურ, ჰარმონიულ განვითარებას. მიუხედავად ამისა, კვლევებით დასტურდება, რომ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები არ მონაწილეობენ სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგალითად, ისინი არ არიან ჩართულნი ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა: წლიური ბიუჯეტის დაგეგმვა, საკრებულოს სხდომებზე დასწრება, სამუშაო პრიორიტეტების განსაზღვრა, არჩევნებში მონაწილეობა და ა.შ (ISSA, 2019). ხოლო, მათგან 61.6% არცერთ პოლიტიკურ აქტივობაში არ ყოფილა ჩართული (socialjustice, 2021). ამის გამოსატყულებაა ისიც, რომ ეთნიკურ უმცირესობებს 2020 წელს საპარლამენტო დონეზე 6 წარმომადგენელი (ცესკო, 2020) ჰყავდათ, რაც 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით (12 წარმომადგენელი) განახევრებულია (ცესკო, 2016). გადა ამისა, CSEM-ის 2017 წლის კვლევის მონაცემებით დასტურდება, რომ კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტების (გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა) საკრებულოებში მათი წარმომადგენლობითი დონე მკვეთრად დაბალია. კერძოდ, აქ საშუალოდ 779 ეთნიკურად ქართველს მოსახლეობას ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში ჰყავს ერთი წარმომადგენელი, ხოლო 1,116 ეთნიკურად სომეხ და 2,945 ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებს თითო-თითო წარმომადგენლები ჰყავთ (socialjustice, 2022).

სოციალური სამართლიანობის ცენტრის ანგარიშით მსგავსი მდგომარეობა ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროგრამები და სტრატეგიები („სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და რეგულაციური სამოქმედო გეგმა“, 1+4 პროგრამა და ა.შ) ნაკლებად ეფექტურია და საკითხი საჭიროებს ჰოლისტურ მიდგომას (მიზნობრივი სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს მთავრობის კოორდინაციითა და არასამთავრობო, სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან კონსულტაციების გზით) (ზვიადაძე.ს & ჯიშკარიანი.დ, 2019).

აღნიშნული პრობლემის გაანალიზება, მისი გამომწვევი ფაქტორების, მათი ეფექტებისა და მოგვარების გზების განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დიდი ორი ეთნიკური ჯგუფის მაგალითზე (სომეხი და აზერბაიჯანული საქართველოს მოქალაქეები), რომლებიც ცხოვრობენ რეგიონებში. ვინაიდან, მათი რაოდენობის გათვალისწინებით, პოტენციურად ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვთ გავლენა მოახდინონ სახელმწიფოში პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე (მაგალითად, არჩევნებზე ხმის მიცემის გზით და სხვა მსგავსი მეთოდებით). ხოლო, რეგიონებში ამ კუთხით შედარებით მეტი გამოწვევა ღვას. საკითხის

შესასწავლად გამოყენებული იქნა **მეთოდოლოგიის** კომბინირებული მიდგომა. კერძოდ, ჩატარდა სამაგიდო კვლევა, რომლითაც შეგროვებული და გაანალიზებული იქნა სახელმწიფო აპარატის, თემატური არასამთავრობო (მაგ: EMC, socialjustice) და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები (მაგ: ევროკომისია), პოლიტიკის დოკუმენტები და პუბლიკაციები. ასევე, თვისებრივი მეთოდის კონტენტ-ანალიზით განხორციელდა, თემატური უკვე არსებული ინტერვიუების კოდირება. ხოლო, ინტერვიუს მეთოდით ინტერვიუები ჩატარდა შესაბამის ჯგუფებად დაყოფილ სამიზნე აუდიტორიასთან. კერძოდ, ინტერვიუ ჩატარდა უშუალოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან (პიროვნებები, რომლებმაც საქართველო დატოვეს ენობრივი ბარიერის გამო შექმნილი გამოწვევების საფუძველზე), ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების მკვლევარებთან და აქტივისტებთან, ასევე, დარგის ექსპერტებთან. დამატებით, ინტერვიუ ჩატარდა დმანისის იუსტიციის თანამშრომელთან, რათა ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო სერვისების მიწოდების საკითხზე მოპოვებულიყო ინფორმაცია. რესპოდენტების შერჩევითი გამოყენებულ იქნა თოვლის გუნდის მეთოდი. მსგავსი მიდგომით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა მხარის პოზიციის შესწავლა და ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციის შემაფერხებელი ძირითადი მიზეზის განსაზღვრა. მიუხედავად ამისა, ნაშრომის შეზღუდვას წარმოადგენს ის გარემოება, რომ აღნიშნულ თემაზე ვერ დამყარდა კომუნიკაცია სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასევე ამ საკითხზე არ ჩატარებულა ფართომასშტაბიანი გამოკითხვა, ინტერვიუები, უშუალოდ ეთნიკური უმცირესობების შედარებით ღიდ კონტიგენტთან. თუმცა, მსგავსი გამოწვევების საპასუხოდ, გაანალიზდა სახელმწიფოს ოფიციალური უწყებების ანგარიშები, განცხადებები და საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებული ინტერვიუები.

I. თავი: ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციის საკითხი

დოკუმენტში სომხური და აზერბაიჯანული წარმომობის საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური ინტეგრაციის შემაფერხებელი მთავარი ფაქტორის განსაზღვრისა და ალტერნატივების ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია რომ: 1) განხილულ იქნას საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის შემაფერხებელი ფაქტორები და თითოეული მათგანის ეფექტები, მოსალოდნელი შედეგები; 2) შეგროვებულ მონაცემებსა და ემპირიულ მასალებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული არგუმენტების საფუძველზე გამოიყოს შერჩეული ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციის დაბალი მაჩვენებლის განმსაზღვრელი მთავარი მიზეზ(ებ)ი.

1.1. სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზები და ეფექტები

პრობლემის იერარქიული ხის ანალიზის (იხ. დანართი #1) გამოყენებით განხილულ იქნა ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციის შემაფერხებელი მიზეზები და მათი ეფექტები:

1. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც შესაძლოა, აფერხებდეს აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეების ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში არის **ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობის დაბალი ხარისხი**. ამ საკითხის ერთ-ერთი ქვე-მიზეზი, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მონაცემების მიხედვით, არის ის, რომ პოლიტიკური პარტიები სათანადოდ არ ასახავენ ეთნიკური უმცირესობების ინტერესებს (ISSA, 2019). მაგალითად, ISSA-ის 2019 წლის კვლევისას გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების 46% მიიჩნევს, რომ პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში მათი ინტერესები არ დგას. ხოლო, ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე მკვლევრები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ „*პოლიტიკური ელიტა არარეალურ პრობლემებზე საუბრობს, რომელიც არ მოიცავს ეთნიკური უმცირესობების ყოველდღიურ პრობლემებს*“ (ავტორის ინტერვიუ, 16.07.2024). მისი თქმით, ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მუშაობისას ამ რეგიონებში არსებული პარტიები დაკავებული არიან ერთმანეთის „მტრობითა“ და „*ფიზიკური დაპირისპირებით*“. ეს კიდევ უფრო ზრდის პარტიებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის უნდობლობას. ასევე, დამატებით ერთ-ერთ ქვეპრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ, სამწუხაროდ, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში სუსტია პოლიტიკური პარტიების მუშაობა (კანდელაკი, 2020). კერძოდ, როგორც წესი, პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ ამ რეგიონებში ადგილობრივი ოფისები, ხოლო საკრებულოებსა და პარტიულ საქმიანობაში ჩართული ადგილობრივი პოლიტიკოსები დემოკრატიული მუშაობითა და ტრანსფორმაციული პოლიტიკის წარმოების გამოცდილებით არ გამოირჩევიან (EMC&საია, 2020). როგორც სამოქალაქო აქტივისტები და მკვლევრები ინტერვიუებში აცხადებენ, ეს ყველაფერი იწვევს საარჩევნო პროცესების დამახინჯებას. რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ლეგიტიმაციის დაბალ დონეს (EMC, 2021). ეს კი, პირდაპირაა დაკავშირებული დემოკრატიული განვითარებისა და ევროინტეგრაციის შეფერხებასთან. ვინაიდან, დასავლეთის ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველო მოუწოდებენ უზრუნველყოს საზოგადოების ყველა წევრის (განსაკუთრებით, უმცირესობების) ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში (ევროკომისია, 2021).

2. **ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო აქტივისტების მარგინალიზაციის საკითხი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა**. სამოქალაქო აქტივისტი ინტერვიუში ამბობს, რომ „*მარნეულში არსებული მმართველი ძალების მიერ, მოსახლეობაში მიზანმიმართულად ნეგატიური დამოკიდებულება იქმნება*“ (ავტორის ინტერვიუ, 12.07.2024). ეს ხელს უშლის მოქალაქეების ამ სეგმენტში სამოქალაქო და სახელმწიფო საქმიანობაში მონაწილეობით კულტურის ჩამოყალიბებას. როგორც დარგის ექსპერტი აღნიშნავს: საზოგადოებაში, სადაც ძლიერი სამოქალაქო სექტორი არ

არის, ძირითადად გამეფებულია კლიენტარისტული დამოკიდებულება. ამ დროს კი „პოლიტიკურ საქმიანობაში მოქალაქეების ჯანსაღი კრიტიკული მონაწილეობა და ზოგადად ჩართულობა, თუნდაც საკრებულოს საქმიანობაში, სრულად გამორიცხულია“ (ავტორის ინტერვიუ, 12.07.2024) ამ საკითხის ერთგვარი ქვე-მიზეზია ის, რომ პარლამენტისა და მთავრობის დონეზე არ არსებობს დემოკრატიული საკონსულტაციო მექანიზმი, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს, აქტივისტებს, თემის ლიდერებსა და ორგანიზაციებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რეგულარული ინსტიტუციონალიზებული მონაწილეობისა და გავლენის მოხდენის შესაძლებლობას მისცემდა. არასამთავრობო ორგანიზაციის, სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასებით, მსგავსი პრობლემის შედეგია ის, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2030 წლის სამოქმედო გეგმა პირველ წელსვე არაეფექტური აღმოჩნდა (Socialjustice,2022). ამ პრობლემის შედეგად, ერთი მხრივ, გამოწვევები არსებობს ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-პოლიტიკური უფლებების დაცვის კუთხით. მეორე მხრივ, არასამთავრობო სექტორის შეფერხებულად ფუნქციონირება პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის დემოკრატიასა და ევროინტეგრაციაზე.

3. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციის დაბალი მაჩვენებლის მიზეზად ასევე განიხილება მოსახლეობის ამ ნაწილის მხრიდან **პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის მოტივაციის არ ქონა**. ამ მოცემულობის ქვე-მიზეზებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, პოლიტიკური ანტაგონიზმი, და, მეორე მხრივ, ინტეგრაციისა და მონაწილეობის ფორმალური მიდგომა. მაგალითად, სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასებით, 4+1 პროგრამა გარკვეულწილად ფორმალურია, ვინაიდან 5 წლის განმავლობაში სწავლის საფასურის გადახდა ეთნიკურ უმცირესობებისთვის დამატებით გამოწვევას წარმოადგენს. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ქართველ სტუდენტთან შედარებით მათი დასაქმების დონე დაბალია (მენადარიშვილი, 2020). ასევე, ფორმალური მიდგომა ვლინდება შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის მუშაობაშიც. უწყების საქმიანობაზე დაკვირვებით დგინდება, რომ ინტეგრაციის ძირითადი ორგანოს ფუნქციების ნაცვლად ასრულებს მხოლოდ მაკოორდინირებელ მოვალეობას. ხოლო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ქვეშ ორგანიზებული სხვადასხვა საკონსულტაციო ფორმატი ვერ აკმაყოფილებს ღია, მდგრადი და რეგულარული საკონსულტაციო მექანიზმის სტანდარტებს (Socialjustice,2020). დამატებით, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დაბალი სურვილი გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ ეთნიკური უმცირესობებს ხელმისაწვდომ ენაზე ინფორმაცია ნაკლებად მიეწოდებათ. ინტერვიუების დროს ადგილობრივი აქტივისტები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაციული ორგანოები (მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობა, სერვისის მიმწოდებელი ტერიტორიული სახელმწიფო ორგანოები) არ უზრუნველყოფენ ეთნიკური უმცირესობების ენაზე თარგმნილი რესურსების შექმნას სერვისების მიწოდების, ადმინისტრაციული წარმოებისა და მოქალაქეებისთვის საჯარო ინფორმაციის გაცემის დროს (ავტორის ინტერვიუ, 09.07.2024). უშუალოდ ამ საკითხის შედეგი არის ის, რომ აზერბაიჯანული და სომხური წარმომადგენლის საქართველოს მოქალაქეები ინფორმაციას ძირითადად სომხური, აზერბაიჯანული და რუსული წყაროებიდან იღებენ (ავტორის ინტერვიუ, 09.07.2024). ხოლო, მარიამ სალვაშვილის (სოციალური სამართლიანობის ცენტრის მკვლევარი) განცხადებით, მსგავსი მოცემულობა ეთნიკურ უმცირესობებში ფულსტრაციასა და სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულებას იწვევს (რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი) (Socialjustice,2021).

4. რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობისა და სახელმწიფო ორგანოებთან კომუნიკაციისთვის ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს **ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენის არცოდნის საკითხიც**. მაგალითად, ადამიანის უფლებათა კომიტეტი 2021 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში პოლიტიკური მონაწილეობისა და ინტეგრაციის კუთხით ქვეყანაში მთვარ გამოწვევას ენობრივი ბარიერი ქმნის. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის 2012 წლის კვლევის შესაბამისად კი, ქვემო ქართლში მცხოვრები 6 წელზე ზევით ასაკის ეთნიკური უმცირესობების 71.5% ვერ ლაპარაკობს სახელმწიფო ენაზე. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებში - 78.3%, ხოლო სომხური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებში - 36.6%-ია (მიქელაძე, 2020) (იხ. დანართი #2). აღნიშნულ პრობლემას რამდენიმე განზომილება აქვს: 1) ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში საბავშვო ბაღებისა და სკოლების კრიტიკულად დაბალი რაოდენობა. მაგალითად: საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი 69.5%-ია, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - 25.5% (საშუალოდ) (Socialjustice.2022). 2) ერთ-ერთი ქვეპრობლემაა სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობა და კვალიფიკაცია. როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი მაცხოვრებელი აღნიშნავს, პირადი გამოცდილების საფუძველზე, გარდაბანში მასწავლებლებმაც კი არ იცოდნენ იმ დონეზე ქართული, რომ ბილინგვური (სასწავლო სახელმძღვანელოების მასალების ნახევარი არის აზერბაიჯანულ და ქართულ ან სომხურ და ქართულ ენებზე იხ. დანართები #3, 4, 5) წიგნებით მასალები აეხსნათ მოსწავლეებისთვის (ავტორის ინტერვიუ). 3) ასევე, ამ თვალსაზრისით ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების საკითხი ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ერთ-ერთ რეგიონში არსებულ სკოლაში მომუშავე მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მაგალითად ქართული ენის სახელმძღვანელოში ეთნიკური ჯგუფების მოსწავლეების ენის ცოდნის საბაზისო დონე არ არის გათვალისწინებული და გრამატიკის გაკვეთილები გაცილებით რთულ დონეზეა ახსნილი (ავტორის ინტერვიუ, 14.07.2024). სახელმწიფო ენის არცოდნა იწვევს ეთნიკური უმცირესობების გათიშვას პოლიტიკური ცხოვრებიდან. იქმნება ინსტიტუციური ბარიერი, რაც ართულებს უმცირესობებისთვის სახელმწიფო სერვისებისა და სხვა პროგრამული ბენეფიტების მიღებას და სახელმწიფო უწყებების მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას. ISSA უახლესი კვლევის მიხედვით, გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების 69.9% აცხადებს, რომ მათ საკუთარი ან ოჯახის საჭიროებებისთვის არასდროს მიუმართავთ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. ხოლო დმანისის იუსტიციის სახლის ყოფილი თანამშრომელი აღნიშნავს, რომ ხშირად ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფები ენის ბარიერის გამო ვერ იღებდნენ მათთვის იუსტიციის სახლის საჭირო სერვისებს (ავტორის ინტერვიუ, 13.07.2024). ენის ბარიერის ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეები ვერ საქმდებიან ადგილობრივ კერძო და საჯარო სექტორში. მაგალითად, 2021 წლის მონაცემებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიამი დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა 232 შეადგენს, აქედან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია - 84. ეს მაშინ, როდესაც მარნეულის მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობების საერთო რაოდენობა მოსახლეობის 91.4%-ს შეადგენს. ხოლო, როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, სახელმწიფო ენის ცოდნა არის წინაპირობა საქართველოსთან, შენს ქვეყანასთან ასოცირებისათვის (ავტორის ინტერვიუ, 12.07.2024). მისი თქმით: „გარდაბანში სახელმწიფო ენის არ ცოდნის გამო ხშირია მოქალაქეების დაშინებისა (განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში) და მათთვის ინფორმაციული

ვაკუუმის შექმნის შემთხვევები“. ნინოწმინდიდან ერთ-ერთი სამოქალაქო აქტივისტი კი აღნიშნავს, რომ ქართული ენის არცოდნის გამო, ეთნიკურ უმცირესობებს არ შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი პოლიტიკური მონაწილეობის უფლებები და დააფიქსირონ თავიანთი პოზიციები. ეს კი ქმნის „კლანური მმართველობის პრობლემას და 20 წელზე მეტია ერთი პირია მმართველი“ (ავტორის ინტერვიუ, 09.07.2024).

ასევე, ქართულის არცოდნის გამო, ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეები ხშირად ტოვებენ საქართველოს და ძირითადად მიდიან სომხეთში, ან აზერბაიჯანში, ან რუსეთში. მაგალითად, რესპონდენტებმა, რომლებმაც ამავე მიზეზით დატოვეს დაწყებითი კლასიდან საქართველო და (მათი მშობლები კი დღემდე განძაში ცხოვრობენ) ერევანში, ბიძასთან გადავიდნენ საცხოვრებლად და სასწავლებლად. „იმის გამო, რომ ქართულ ენას არც სკოლაში და არც ოჯახში არ ვსწავლობდით (მათმა მშობლებმა ქართული ენა არ იციან, შესაბამისად, ოჯახში სომხურ და/ან რუსულ ენებზე საუბრობდნენ) ძალიან გვიჭირდა საზოგადოებაში თავის დამკვიდრება. ამიტომ, მშობლების გადაწყვეტილებით, რათა განათლება მიგვეღო, ბიძასთან სომხეთში გაგვზავნეს“ (ავტორის ინტერვიუ, 26.07.2024). აღნიშნული მდგომარეობა ნეგატიურად აისახება ქვეყანაში მიგრაციაზე (საქართველოში მიგრაციის უარყოფითი სალდოა - 7), იწვევს სოფლების დაცარიელებას და ტვინების გადინებას. სახელმწიფო ენის არ ცოდნის შედეგად მცირდება ამ ჯგუფების მიერ პოლიტიკურ დღის წესრიგსა და სახელმწიფო უწყებების გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ეს კი ეთნიკური უმცირესობების უფლებრივ და სოციალურ მდგომარეობას ამძიმებს. საბოლოოდ კი, მსგავსი მდგომარეობა ქვეყნის დემოკრატიის ხარისხზე აისახება.

1.2. სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებში სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი და პოლიტიკური ინტეგრაცია

მეტაპრობლემიდან - საქართველოში სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეების ინტეგრაციის დაბალის დონის - მთავარი პრობლემის ჩამოყალიბებისა და შემდეგ მიზეზ-შედეგების განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა იერარქიული ანალიზი (Hierarchy Analysis). კერძოდ, ამ მიმართულებით არსებული პრობლემები დაყოფილი იქნა შემდეგი კლასიფიკაციის მიხედვით:

რეალური/აქტიური მიზეზები (Actionable causes) - გარკვეულწილად მოიცავს ეთნიკურ უმცირესობებში პოლიტიკური პარტიებისადმი დაბალი ნდობის მაჩვენებელსა და სამოქალაქო აქტივისტების მარგინალიზაციას, რადგანაც პარტიებისადმი უნდობლობის ტენდენცია დამახასიათებელია არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებისთვის, არამედ მთლიანად საქართველოს მოსახლეობის. კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2% ენდობა პოლიტიკურ პარტიებს (CRRC.2021). ხოლო სამოქალაქო აქტივისტების მარგინალიზაციის საკითხი ერთგვარი დამახასიათებელი ნიშანია ქართული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი კლიმატისთვის. მაგალითად, ევროკომისიის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში კვლავ ხშირია სხვადასხვა მხარის მხრიდან არასამთავრობო სექტორზე განსხვავებული მეთოდებით თავდასხმა (2021).

სავარაუდო მიზეზები (Plausible Causes) პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის მოტივაციის არქონას იწვევს არამხოლოდ ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის დონე, არამედ დაკავშირებულია მთლიანად საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მონაწილეობის ტენდენციებთან. განსაკუთრებით რეგიონებში იშვიათად იჩენენ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის სურვილს, რაც გამოიხატება ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვაში არ მონაწილეობაში, არჩევნებში აქტივობის დაბალ მაჩვენებელში და სხვა მსგავს მაგალითებში.

შესაძლო მიზეზები (Possible causes) - წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის არ ცოდნის საკითხი, რადგან ეს საკითხი რელევანტურია უშუალოდ მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებისთვის. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე სახელმწიფო უწყებების შეფასებით, ენის ბარიერი არის ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციის მთავარი გამოწვევა. მაგალითად, EMC მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერებისთვის ცენტრალური პრიორიტეტი უნდა იყოს (EMC. 2020).

სომხური და აზერბაიჯანული თემის პოლიტიკური ინტეგრაციის საკითხის განხილვისას პრიორიტეტი, რომ უნდა იყოს ამ ჯგუფებში სახელმწიფო ენის დონის ამაღლება დასტურდება მათთვის ქართული ენის არცოდნის გამო შექმნილი გამოწვევებითაც. რესპონდენტი, რომელიც გარდაბნის მუნიციპალიტეტში გაიზარდა ინტერვიუში ყვება რომ: *„ჩემი როგორც საქართველოს მოქალაქის იდენტობა ყალიბდება მხოლოდ მეშვიდე კლასიდან. ამ დროს დავიწყეთ ქართულის სწავლა. მაშინ დაიწყო ჩემში იდენტობის, როგორც ქართველის ჩამოყალიბება. მანამდე მეგონა, რომ გარდაბნის იქით სხვა ქვეყანა იყო, რადგან იქ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ.“* (ავტორის ინტერვიუ, 09.07.2024). ბუნებრივია, როდესაც მოქალაქე თავს უცხოდ მიიჩნევს არანაირი მოტივაცია და არც ბერკეტი აქვს, რომ ჩაერთოს ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში. სახელმწიფო ენა კი არის მოქალაქის იდენტობის ჩამოყალიბების წინაპირობა. *„პირველ კლასიდან ვკითხულობ აზერბაიჯანის ჰიმნს, ვსწავლობდი აზერბაიჯანულად და სამშობლოს კავშირი მექმნებოდა არა საქართველოსთან არამედ აზერბაიჯანთან“* (ავტორის ინტერვიუ, 27.07.2024).

სახელმწიფო ენის არცოდნა გარკვეულწილად ქმნის განათლების პრობლემასაც. რესპოდენტები, რომლებიც დღეს ერევანში ცხოვრობენ, მათი მშობლები კი საქართველოში, განძაში იმყოფებიან, აღნიშნავენ რომ: არაქართულენოვან სკოლებში სწავლის ხარისხი ძალიან დაბალია, ასევე რთულია საჭირო სახელმძღვანელოების მოძიება (მათი თქმით, საჭირო სასწავლო წიგნებს ახალო ნათესავი ერევნიდან უგზავნიდა) და შეუძლებელიც კია მსგავს პირობებში ქართული ენის სწავლა (ავტორის ინტერვიუ, 26.07.2024). ამიტომ, მშობლების გადაწყვეტილებით სასწავლებლად ერევანში გადავიდნენ და დღეს იქ ცხოვრობენ. ეს საზიანოა საქართველოს განათლების სისტემისა და ეკონომიკური მდგომარეობისთვის (პოტენციური მუშახელი, მომავალი ეკონომიკური აქტორების საქართველოდან გადინების გამო). შესაბამისად, მომავალი თაობა, რომელიც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული ქვეყანას ტოვებს და ემიგრაციაში მიდის.

ქართული ენის არ ცოდნის საკითხი ასევე აფერხებს ამ ეთნიკური ჯგუფებისთვის სახელმწიფო სერვისების მიღების საკითხსაც. როგორც ერთ-ერთი აქტივისტი ნინოწმინდიდან აღნიშნავს, მსგავსი მდგომარეობა ეთნიკურ უმცირესობებში პოლიტიკურ

ანტაგონიზმსა და იმედგაცრუებას იწვევს (ავტორის ინტერვიუ, 14.07.2024). მისი თქმით, იმის, გამო რომ „სახელმწიფოსგან ვერ იღებენ ადეკვატურ მომსახურებას, უყალიბდებათ ოფიციალური სტრუქტურებისადმი უნდობლობა. თავს უცხოებად აღიქვამენ და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვა მათთვის სრულიად უინტერესო ხდება“ (ავტორის ინტერვიუ, 14.07.2024).

მისი თქმით, ენის არ ცოდნის გამო, ეთნიკური უმცირესობების მოსახლეობას არა ქართული მედიიდან, არამედ რუსული, სომხური და აზერბაიჯანული არხებიდან იღებენ. „ეს მათ საქართველოში არსებული ვითარებისგან განსხვავებულ რეალობას უქმნით“ (ავტორის ინტერვიუ, 14.07.2024). რუსული ჰიბრიდული ომის ფარგლებშიც კი, ისინი მოწყვლადი ხდებიან დეზინფორმაციისადმი. ეს ასევე ქმნის ინფორმაციულ ვაკუუმსაც და როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, მსგავსი მდგომარეობა ნოყიერ ნიადაგს უქმნის ამ რეგიონებში პოლიტიკური ანგარიშვალდებულების შემცირებას, და აყალიბებს კლანურ მმართველობას. ეს მოცემულობა პოლიტიკური პროცესების აღქმას ამახინჯებს და ანგრევს დემოკრატიულ ინსტიტუტებს. სოციოლოგების შეფასებით, სახელმწიფო ენის არ ცოდნის შედეგია ის (ეთნიკური უმცირესობები პოლიტიკურ მოვლენებზე ძირითადად ინტერპრეტირებულ ინფორმაციას, დეზინფორმაციას ფლობენ ან სრულ ვაკუუმში არიან), რომ „ეთნიკური უმცირესობები ხმას აძლევენ არა მთავრობებს, არამედ სახელმწიფოს. ეს არის ტიპური კლიენტარისტული წარმოდგენა, რომ ხელისუფლება, მმართველი პარტია, უდრის სახელმწიფოს. ეს არის საბჭოთა ტრადიცია, რომელიც შენარჩუნდა ყველაზე მეტად ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ტერიტორიებზე“ (ავტორის ინტერვიუ, 16.07.2024). მისი თქმით: „ქართული ენის ცოდნა და სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობა მათ არსებითად სხვაგვარ ამომრჩევლად აყალიბებს“ (ავტორის ინტერვიუ, 16.07.2024). სწორედ, მსგავსი მიზეზების გამო, მნიშვნელოვანია ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება, რათა მათ მიეცეთ პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობა და მათი ეკონომიკური სოციალური და სამოქალაქო უფლებების დაცვა.

1.3. მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა

ქვეყნაში ენის ბარიერის გამო სამოქალაქო-პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ვერ მიღება, ან სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ვერ მიღებამ შესაძლოა ეთნიკურ უმცირესობებში გამოიწვიოს ფრუსტრირება. რობერტ ტედ გურის ფრუსტრირება-აგრესიის თეორიის მიხედვით, ეთნიკურ უმცირესობებში იმედგაცრუება შეიძლება გამოიხატოს კონვენციური და არა კონვენციური ძალადობის შედეგებში (Gury. 1970). საქართველოს უახლოესი წარსული შემთხვევებიც მსგავს საფრთხეზე მიგვითითებს. მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ პანკისის ხეობის მოსახლეობისა და პოლიციის შეტაკება ჰესის მშენებლობის საკითხზე (ცხადაია.2019). ასევე, კოვიდ პანდემიის მართვის საკითხი - მაგალითად, მარნეულში კარანტინის გამოცხადება - რამაც უკმაყოფილება და აგრესია გამოიწვია ეთნიკურ უმცირესობებში (პერტაია. 2020). ამის მაჩვენებელია ისიც, რომ მაგალითად მარნეულში ეთნიკურად მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტში ვაქცინაციის მაჩვენებელი 2021 წლისთვის 9.3% იყო, როდესაც აჭარაში იგივე მონაცემები 33% იყო (socialjustice,2021).

II თავი: პოლიტიკის ალტერნატივები

პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებისას განხილული იქნა სომხურ და აზერბაიჯანულ ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემის მოგვარების შესაძლო ალტერნატივები, რომლებიც სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით შეფასდა.

2.1 ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სკოლებისა და საბავშვო ბაღების რაოდენობის გაზრდა

პირველ ალტერნატივას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სკოლებისა და ბაღების რაოდენობის ზრდა. სკოლამდელი აღზრდის ჩართულობის ზოგადი მაჩვენებელი - 69.5%-ია, ხოლო ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში 25%-ია (socialjustice.2022). ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში სკოლების ნაწილი მხოლოდ 9 კლასს მოიცავს, ხოლო 12 კლასიანი სკოლები შორსაა და მოსწავლეების ტრანსპორტირება რთულია (EMC, 2020). ამას ადასტურებს სოციალური სამართლიანობის ცენტრთან საუბრისას მინაიამ მამედვას სიტყვები, რომ: „*ჩემმა შვილმა 9 კლასი დაამთავრა და ვერ აგრძელებს სწავლას, სკოლა არ არის*“ (socialjustice.2022). აღნიშნული ალტერნატივის გაანალიზებისთვის გამოყენებულ იქნა გადაწყვეტილების მიღებისა და ზეგავლენის მიდგომა. კერძოდ, ამ შემთხვევაში გავლენის (Impact) ჯგუფში გაერთიანდებოდნენ უშუალოდ ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი, რომლსაც წვდომა ექნებოდა სკოლებსა და ბაღებთან. ეს ხელს შეუწყობდა არასრულწლოვანებში ადრეულ ეტაპზე ქართული ენის შესწავლის დაწყებას. ეს კი გაზრდიდა მათ იდენტიფიცირებას საქართველოსთან. შევიდოდნენ: მშობლები, რომელთა შვილების სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ზრდა მათთვის გაზრდიდა სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის წვდომას. მაგალითად ისინი შვილებთან კომუნიკაციის საშუალებით გაუმჯობესდნენ ქართულის ცოდნის დონეს, ან შვილებისგან მიიღებდნენ ცნობებს ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე. ეს კი შესაძლოა სტიმული ყოფილიყო მათთვის პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის კუთხით. ასევე, ამ ჯგუფში შედიან მასწავლებლები და პერსონალი, რომელიც ახალ სკოლებსა და ბაღებში დასაქმდებოდნენ, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც აისახებოდა. რაც შეეხება განათლების სხვა პროგრამებს, შესაძლოა აღნიშნული ალტერნატივა წამახალისებელი ყოფილიყო ისეთი პროგრამებისთვის, როგორებიცაა სკოლის პერსონალის გადამზადება, ან პირიქით, ნეგატიურად ასახულიყო დაფინანსების საჭიროების გამო უკვე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

შედეგის (ე.წ. Outcome) თვალსაზრისით ამ ალტერნატივის საშუალებით გაიზრდებოდა ქვეყანაში განათლების დონე, შეწყდებოდა სოფლების დაცარიელება და ეს ყველაფერი ქვეყანას ეკონომიკური სარგებელსაც მოუტანდა.

2.2. ეთნიკური უმცირესობებისთვის ზოგადი სასწავლო პროგრამის შემუშავება

პოლიტიკის II ალტერნატივას წარმოადგენს ზოგადი სასწავლო პროგრამის შემუშავება მთლიანად აზერბაიჯანული და სომხური თემისთვის. იგი განხილულია ეთიკური ანალიზის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული ალტერნატივის ფარგლებში შემუშავდება სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამები სამიზნე ეთნიკური ჯგუფების ნებისმიერი ასაკის მოსახლეობისთვის. ინტერვიუში ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ „სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ადგილზე სათემო პროგრამების ჩამოყალიბებას, რომლებიც ზრდასრული ასაკის ადამიანებში ქართული ენის შესწავლას შეუწყობენ ხელს. პრობლემა არის ის, რომ მშობლები ვერ უხმარებიან შვილებს ქართული ენის სწავლებისას, რადგან მათ ენა არ იციან“ (ავტორის ინტერვიუ, 14.07.2024). მისი თქმით, დისტანციურმა სწავლებამ გვასწავლა, რომ მოსახლეობის ჩართვა ამ პროგრამებში შესაძლოა სხვადასხვა მეთოდითაც. შედეგად, გაიზრდებოდა სახელმწიფო ენის ცოდნის დონე ეთნიკური ჯგუფების სრულწლოვან სეგმენტშიც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ შემთხვევაში ისინი პოლიტიკურ დღის წესრიგზე გავლენის მოხდენის რეალურ პოტენციალს იძენენ. ეთიკური ანალიზის მიხედვით, ამ დროს საგანმანათლებლო პროგრამებიდან სარგებელს იღებს ერთდროულად სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობის სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მოსახლეობა. ხოლო სარგებლის მიღმა რჩებიან სხვა ეთნიკური ჯგუფები და სამიზნე ეთნიკური ჯგუფების ის ნაწილი, რომელსაც მათი საქმიანობის გამო ქართული ენის შესასწავლად დამატებითი დრო არ აქვთ. ხოლო, აღნიშნული პროგრამისთვის ფინანსები გამოიყოფოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც შესაძლოა ნეგატიურად ასახულიყო სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე დაფინანსების შემცირების კუთხით.

2.3 ეთნიკური ჯგუფებისთვის სახელმძღვანელოების შემუშავება და მასწავლებლების გადამზადება

პოლიტიკის III ალტერნატივას წარმოადგენს სომხური და აზერბაიჯანული თემისთვის სახელმძღვანელოების შემუშავება და პერსონალის გადამზადება. იგი გაანალიზდა გადაწყვეტილების მიღებისა და ზეგავლენის (Impact) მეთოდით. EMC-ისა და სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების საფუძველზე გამოიყო რამდენიმე საკითხი: 1) სახელმძღვანელოების თარგმნის ხარისხი არის ძალიან დაბალი, 2) ქართული ენის გრამატიკა არ შეესაბამება მოსწავლეების ენის ცოდნის დონეს და სახელმძღვანელოში გრამატიკული ნაწილი ზედმეტად რთულადაა ახსნილი (იხ. დანართები #3,4,5); 3) ეთნიკური უმცირესობებისთვის არსებულ სასწავლო წიგნებში (ისტორიის, გეოგრაფიის სამოქალაქო და სხვა საგნის სახელმძღვანელოები) საკუთარ თავს ვერ ხედავენ, რაც აფერხებს საქართველოს მოქალაქეებად მათი იდენტობის ჩამოყალიბებას. ამის გამო ისინი პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვას დროის ხარჯვად მიიჩნევენ, რადგან თავს უცხოებად, სხვა სახელმწიფოს წარმომდგენლებად განიხილავენ. უფრო მეტიც, როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სამოქალაქო აქტივისტი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მასში ძალიან დიდ გაღიზიანებას იწვევდა, როდესაც ისტორიის წიგნში მუსლიმანებსა და მის რელიგიას ურჯულოებად მოიხსენიებდნენ (ავტორის ინტერვიუ, 09.07.2024). ეს გარემოება ბუნებრივია მოსახლეობის ამ ნაწილში იმედგაცრუებას იწვევს. ამიტომ, მათ არ სურთ დახარჯონ მათი შესაძლებლობები პოლიტიკურ ინტეგრაციაზე. 4) პრობლემაა ბილინგვური

სახელმძღვანელოებიც. მართალია კარგად ჟღერს ნახევარი მასალის აზერბაიჯანულ-სომხურ და ნახევარი მასალის ქართულ ენაზე არსებობა, თუმცა, როგორც იგი აღნიშნავს, ამ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული არ იყო ადგილობრივი მასწავლებლების ქართული ენის ცოდნის დონე. სამწუხაროდ, მათ არ იციან ქართული ენა იმ დონეზე, რომ მასალის ქართულ ენაზე მოცემული ნაწილი მოსწავლეებს აუხსნან. ამიტომ, გაკვეთილების ამ ნაწილს შეგნებულად ტოვებენ. ეს კი, ნეგატიურად აისახება მოსწავლეების განათლების დონეზე. მასწავლებლების კომპეტენციის ამაღლების საჭიროებას ადასტურებს ისიც, რომ 2019 წლის კვლევის თანახმად, არაქართულენოვან სკოლებში მოსწავლეთა მხოლოდ 18%-ს ასწავლის ისეთი მასწავლებელი, რომელსაც ჩაბარებული აქვს პროფესიული უნარების გამოცდა (Socialjustice.2022). ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოების შემუშავება და მასწავლებლების კომპეტენციის ზრდის პროგრამა ერთდროულად განხორციელდეს. ვინაიდან, ახალი სახელმძღვანელოების წარამატებით დაწერგვა დამოკიდებულია მასწავლებლების კომპეტენციაზე. გადაწყვეტილების მიღებისა და ზეგავლენის მეთოდის „Impact“ მიხედვით, ამ ალტერნატივის ზეგავლენა (Impact) იქნება ის, რომ ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ არასრულწლოვნებს შეეძლება ქართული ენის შესწავლა. ეს კი ხელს შეუწყობს მათში საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად საკუთარი თავის აღქმას და მომავალში ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში ინტეგრაციის საკითხით დაინტერესებას; ასევე, გაიზრდება მასწავლებლის კომპეტენცია, რასაც მდგრადი და მრავალჯერადი შედეგი ექნება, როგორც მოსწავლეებში ქართული ენის შესწავლის, ისე განათლების ზოგადი დონის ზრდის თვალსაზრისით. გარე აქტორების კუთხით, კი ეს პოზიტიურად აისახება მშობლებში ქართული ენის ცოდნის საკითხზე და მათთვის მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე (როგორც პირველი ალტერნატივის შემთხვევაში); ასევე, ამ ალტერნატივამ შეიძლება გვიჩვენოს, რომ საჭიროა სხვა დამატებითი პროგრამების შემუშავება. მაგალითად: არსებული მასწავლებლების კონტიგენტი (მათი ასაკისა და კომპეტენციის ასამაღლებელი პროგრამების ათვისების მიხედვით) ჩანაცვლდეს ახლი მასწავლებლებით. შესაძლოა, იგი ნეგატიურად აისახოს, ისეთი პროგრამების დაფინანსებაზე, როგორიცაა უცხოეთში განათლების მისაღებად სტიპენდიები. ვინაიდან, სახელმწიფოს ამ ალტერნატივისთვის საჭირო ფინანსებისთვის დასჭირდება დამატებითი სახსრების მოძიება. შედეგის (Outcome) თვალსაზრისით, გაიზრდება ქვეყანაში განათლების დონე, შემცირდება ტვინების გადინებისა და სოფლების დაცარიელების ტენდენცია, გაუმჯობესდება ამ რეგიონების მდგომარეობა, ქვეყნის დემოკრატიის დონე და მოქალაქეებში სახელმწიფოებრივი აზროვნება.

III თავი: უმჯობესი პოლიტიკის კურსის განსაზღვრა

ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებისთვის დამატებითი სკოლებისა და ბალების გახსნა ნაკლებად ეფექტური იქნება, თუ ამ სასწავლო დაწესებულებებში ადეკვატური სასწავლო სახელმძღვანელოები და კომპეტენტური მასწავლებლები არ ეყოლებათ. ხოლო, ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის ზოგადი პროგრამის შესწავლაში ჩართულობის მაჩვენებელი შესაძლოა ძალიან დაბალი აღმოჩნდეს. ვინაიდან, მაგალითად ადამიანები, რომლებიც სოფლის მეურნეობის საქმიანობით არიან დაკავებულნი მათთვის ძალიან რთული იქნება დამატებითი დროის გამონახვა ენის სასწავლო პროგრამისთვის. მეტიც, შესაძლოა მოსწავლეებმა არც ისურვონ

სკოლის გარდა დამატებით სხვა სასწავლო კურსებზე დასწრება. ამიტომაც, ეს ალტერნატივაც შესაძლოა ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდეს. შესაბამისად, **პრობლემის გადასაჭრელად უმჯობეს ალტერნატივად განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმძღვანელოების შემუშავება და მასწავლებლების კომპეტენციის გაზრდა**. ამ ორი საკითხის განხორციელება პროგრამის წარმატებისთვის არსებითია, ვინაიდან თუ მასწავლებელს მისი კომპეტენციის გამო, არ შეეძლება ახალ სახელმძღვანელოებში არსებული ცოდნის მოსწავლეებისთვის მიწოდება, მაშინ სახელმძღვანელოების შექმნაზე დახარჯული დრო და ფინანსები ფუჭი იქნება. ეს დასტურდება ბილინგვური სახელმძღვანელოების პროგრამის წარუმატებლობითაც. ხოლო, თუ უკვე გადამზადებულ მასწავლებლებს არ ექნებათ ადეკვატური სახელმძღვანელოები, რომლითაც მოსწავლეებს ასწავლიან, მაშინ მასწავლებლების კომპეტენციის ამაღლებისთვის დახარჯული დრო და რესურსიც არამიზნობრივი იქნება.

შერჩეული ალტერნატივა (სახელმძღვანელოების შემუშავება და პერსონალის გადამზადება) გაანალიზებულ იქნა ღირებულების დაზუსტების (value clarification) მიდგომით. კერძოდ, ამ ალტერნატივას საფუძვლად უდევს სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი. ვინაიდან, ყველა ადამიანს აქვს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და სახელმწიფომ ამისთვის საჭირო პირობები უნდა უზრუნველყოს. ამ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ: სომხური და აზერბაიჯანული თემი, სახელმწიფო, განათლების სამინისტრო და ადგილობრივი თვითმართველობები. სომხური და აზერბაიჯანული თემის ინტერესია, რომ ინტეგრირდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, დაიცვან და განახორციელონ მათი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები. სახელმწიფოს ინტერესია, რომ ყველა მოქალაქისთვის, მიუხედავად მათი განსხვავებისა, უზრუნველყოს თანაბარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მონაწილეობა და ჩართულობა. ეს კი პოზიტიურად აისახება ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების დონეზეც. განათლების სამინისტროს პრიორიტეტს წარმოადგენს, რომ თითოეულ მოქალაქეს შეუქმნას ხარისხიანი განათლების მიღების პირობები. ადგილობრივი თვითმართველობების ინტერესს წარმოადგენს პოტენციური ელექტორატისგან პოზიტიური შეფასების მიღება. ეს უკანასკნელი შეიძლება გავაერთიანოთ პერსონალურ ინტერესში, ხოლო ყველა სხვა ზემოთ განხილული ღირებულება უნივერსალურად მივიჩნიოთ. პროგრამის ამოცანას კი წარმოადგენს ახალი სახელმძღვანელოების შემუშავება და პერსონალის გადამზადება.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი საკმაოდ სენსიტიური საკითხია საქართველოსთვის. ამიტომ დამატებით გამოყენებულ იქნა შერჩეული კურსის განხილვისთვის წინააღმდეგობების ანალიზის (mapping) მიდგომა. შერჩეული პოლიტიკური კურსის განხორციელებისას შესაძლოა წარმოიშვას ფიზიკური შეზღუდვა. კერძოდ, მასწავლებლების კომპეტენციის ამაღლებასთან ერთად საჭირო გახდეს მათი ახალი კადრებით ჩანაცვლებაც. ასევე, გარკვეულწილად ვაწყდებით სამართლებრივ წინააღმდეგობასაც. ვინაიდან პროგრამა გათვლილია მხოლოდ ორ ეთნიკურ ჯგუფზე და სხვა ეთნიკური უმცირესობები ყურადღების მიღმა რჩება. ეს არღვევს თანასწორობის უფლებას, რაც ქვეყნის კონსტიტუციაშია აღიარებული. გარდა ამისა, შესაძლოა შეიქმნას ორგანიზაციული გამოწვევაც. კერძოდ, როგორ უნდა გაგრძელდეს ეთნიკური უმცირესობების სკოლებში სწავლის პროცესი უწყვეტად, როდესაც მასწავლებლებს კომპეტენციის ასამაღლებელ პროგრამებში მოუწევთ მონაწილეობა. ასევე, სახელმძღვანელოების

მომზადება შრომატევადი საქმიანობაა და მოითხოვს სხვადასხვა დარგის სპეციალისტის კოორდინირებულ მუშაობას, რათა თავიდან ავირიდოთ, ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა მუსლიმანების „ურჯულოებად“ მოხსენიება (ეს შეურაცხმყოფელია საქართველოს აზერბაიჯანელი მოქალაქეებისთვის) და ა.შ. დამატებით შესაძლოა წარმოიშვას პოლიტიკური ნების საკითხიც. მაგალითად, იაგო კაჭკაჭიშვილი აღნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტები ერთგვარი ბუფერული ზონაა მმართველი ძალისთვის არჩევნებში წარმატების მისაღწევად. ასევე იქმნება მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც გულისხმობს ამ მასშტაბური პროექტისთვის ფინანსების მოძიებას. ამან კი, შესაძლოა დააზარალოს უკვე არსებული სხვა პროექტები.

დასკვნა და რეკომენდაციები

რეკომენდაციები

- შერჩეული პოლიტიკური ალტერნატივა და მისი მონიტორინგი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს დაკვირვება თუ, როგორ აისახა სომხურ და აზერბაიჯანულ თემში სახელმწიფო ენის დონის ზრდა მაგალითად, ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავებაში მონაწილეობაზე, არჩევნებსა და მსგავს პროგრამებში ჩართულობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით 2024 წლის არჩევნებში მსგავს ტენდენციებზე დაკვირვება. მონიტორინგის ეს მეთოდი, ცვლილებებზე დაკვირვებითა და პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებზე ოპერატიული ნაბიჯები გადადგმით, სახელმწიფოს პროგრამის ეტაპობრივად გაუმჯობესების შესაძლებლობას მისცემს.
- განათლებისა და სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინაციის საფუძველზე უნდა შეიქმნას საპილოტე სახელმძღვანელოები, რომლებიც ეტაპობრივად დაინერგება ეთნიკური უმცირესობების სკოლებში. პარალელურად, ეტაპობრივად სოციალური აუდიტის მონიტორინგის მიდგომით, შესწავლილ უნდა იქნას მასწავლებლების გადამზადებისა და ახალი სახელმძღვანელოების დანერგვის, პარალელურად, თუ როგორ შეიცვალა მოსწავლეებში დამოკიდებულებები, მათ შორის მათი საქართველოს მოქალაქეებად იდენტიფიკაციისადმი დამოკიდებულება. რადგანაც ეთნიკურ უმცირესობებში საკუთარი თავის საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ აღქმა პოლიტიკური მონაწილეობის წინაპირობაა, აღნიშნული დამოკიდებულებების ზრდა აჩენს სახელმწიფოსთან ბმას და იწვევს ქვეყანაში გატარებული კურსისადმი ინტერესს.
- მასწავლებლების გადამზადება უნდა განხორციელდეს ჯგუფებად (საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფები). ეს განათლების სამინისტროს მისცემს შესაძლებლობას იყოს მეტად მობილური და პოლიტიკის განხორციელების პროცესში შექმნილ გამოწვევებს ოპერატიულად უპასუხოს. პროგრამა უნდა ეტაპობრივად განვითარდეს, რადგან

თითოეული ეტაპი გვიჩვენებს რა არის გამოსასწორებელი და როგორ უნდა გადაიხედოს შემუშავებული კურსი. მაგალითად, შესაძლოა მასწავლებლების გადამზადების ნაცვლად (მათი ასაკის, სუბიექტური და ობიექტური მახასიათებლების გამო (მაგ. მასალის ათვისება და ა.შ) საჭირო გახდეს მათი ახალი კონტიგენტით ჩანაცვლება.


- რესურსების გადანაწილებისა და შედეგების მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფებისა და ბენეფიციარები შეფასებების გაგება. ამისათვის მნიშვნელოვანია, სოციალური ინდიკატორების შემუშავება განათლებისა (სახელმწიფო ენის ცოდნის თვალსაზრისით) და პოლიტიკური ჩართულობის კუთხით. ასევე, სოციალური აუდიტის მიდგომით უნდა დავაკვირდეთ სამიზნე აუდიტორიის შეფასებებს. კერძოდ, სახელმძღვანელოების დანერგვისა და პერსონალის გადამზადების პარალელურად როგორ აფასებენ მათ როლს ქვეყნისა და ზოგადად პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით. ასევე, შემუშავებულმა პოლიტიკამ რამდენად გამოიწვია სამიზნე ჯგუფებში სახელმწიფო ენის ცოდნის ზრდა და რა არის ამ თვალსაზრისით შესაცვლელი, დასახვეწი. ეს ხელს შეუწყობს პრობლემის არსის გაგებასა და ახალი მექანიზმების დანერგვას.

დასკვნა

განხილული მასალებისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ საქართველოში ეთნიკურ უმცირესობების პოლიტიკური უფლებების განხორციელებასა და მათ პოლიტიკურ ინტეგრაციას სახელმწიფო ენის არცოდნა აფერხებს. მსგავსი მოცემულობის გამო, შერჩეული პოლიტიკის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია: მიზნებისა და ღირებულებების მუდმივი დაზუსტება, კრიტიკა და საჭიროების შემთხვევაში, პრობლემის ხელახალი გადააზრება. არსებითია, რომ ამ საკითხზე მუშაობა დაიწყოს სკოლის ადრეული ასაკიდან, რადგან ადამიანის სოციალიზაცია, მისი იდენტობის ჩამოყალიბება ამ ეტაპზე იწყება. ხოლო ენა პიროვნების იდენტობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი აქტორია. ამისთვის კი, საჭიროა ისეთი სახელმძღვანელოების შემუშავება, რომელიც დაეხმარებათ მათ ქართული ენის შესწავლაში. თუმცა, ახალი სახელმძღვანელოების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მასწავლებლების ცოდნის დონეც. ამიტომაც, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი გადამზადების, კომპეტენციის ამაღლების საკითხი. ხოლო, როდესაც დღის წესრიგში დგას ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი, არსებითია შეფასება განხორცილდეს ინდივიდუალური ღირებულებების გათვალისწინებით. ეს გულისხმობს რომ სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ჰოლისტური მიდგომა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციები, შესაბამისი უწყებები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. სწორედ ასეთი მიდგომა გაზრდის ქვეყანაში პოლიტიკურ ინტეგრაციასა და უზრუნველყოფს გატარებული პოლიტიკის წარმატებას.


დანართი

დანართი 1: ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის პრობლემის ხე



დანართი 2: სხვადასხვა სექტორის მოსწავლეები - ენობრივი კომპეტენციის მიღწევის საფეხურები

გრაფიკი 8. სხვადასხვა სექტორის მოსწავლეები - ენობრივი კომპეტენციის მიღწევის საფეხურები



ქართულში მაღალი ენობრივი კომპეტენცია აჩვენა კვლევაში მონაწილე აბერბაიჯანული სექტორის მე-7 კლასის მოსწავლეთა 1%-მა, ხოლო სომხური სექტორის 7%-მა./შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი/2019

წყარო: <https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/Georgian%20as%20Secund%20Language%202019.pdf?fbclid>

დანართი 5: ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოს ბილინგვური ვერსია

საიდან, ჩანს, რომ:

- მერილ სტრიპი წარმატებული მსახიობია?
- ის სხვადასხვა ეროვნების ადამიანების შთამომავალია?
- მერილ სტრიპი არ იყო დედისცერია?
- მას მხოლოდ ფილმებში არ იღებდნენ?
- მერილ სტრიპის ბავშვობაში სხვა პროფესია ირტყებოდა?

ამერიკელი მსახიობი მერილ სტრიპი ამერიკის კონკრეტული ვილდის „ოსკარის“, ლაურეტატა, პირველი ოსკარი მან 1979 წელს მიიღო ფილმისათვის „კამერი კამერის წინააღმდეგ“, რომელშიც ის დასტურ პოზიციას იკავებდა მთავარ როლს ასრულებს. მერილ სტრიპს სულ 2 ოსკარი, 8 ნომინაციის გლობალური კინოსათვისა და გლობალური 2 პრემია და ბრიტანელი კინოაკადემიის 1 ჯილდო აქვს მიღებული.

მერილ სტრიპი 1949 წლის 22 ივნისს ნიუ-ჯერსის შტატში, ქალაქ სემიპუნი დაიბადა. მამამისი ფარმაკეუტული კომპანიაში მუშაობდა, დედა კი მხატვარი იყო. დედის მხრიდან მისი წინაპრები შვედური, ირლანდიური და ინგლისური წარმომადგობისა იყვნენ, ხოლო მამის ოჯახს გერმანული ფესვები აქვს. სტრიპის წინაპრები იყვნენ, ასევე, ესპანელი ებრაელებიც, თუმცა თავად მერილს ეს არ არის.

მერილ სტრიპი უფროსი შვილი იყო. ის საყვარელი ნიჭიერი, ობლივი და მოსიყვარულე ბავშვი იყო. მშობლებს მასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვდათ. ოჯახში ყველა ძალიან კარგად მღეროდა. მერილი ერთხანს საოპერო მომღერლობაზეც კი ფიქრობდა, თუმცა მანც დრამატულმა ხელოვნებამ გადააპყრო. მისი ნიჭის გამო აღფრთოვანების ვერ მალავდნენ მედგორები. ის ყველასგან გამოირჩეოდა.

იულის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1975 წელს, მერილი ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად და სამწოდ, თავისუფალიაგვეუ წარმატება უცებ მოვიდა და ახალგაზრდა მერილს თეატრის კარიერა უფრო ახლოს ატოვებდა.

პოლივეში მერილ სტრიპს ერთგულებას ნიჭი დაჯილდოებული ქალი შვარტცეს, 1978 წლის 15 სექტემბერს მან ნიჭიერი და ელტყანტურ მოქანდაკეზე, ღონ პამერზე იქორწინა. მათ ოთხი შვილი შეეძინათ. ერთ-ერთი დედის გზას გააყვია და პროფესიად მსახიობობა აირჩია.

ნი გადახვეტილება გააიხიოცისკლსა

ი დიალოგიდან და მოიფიქრე შეწყვილებსთან ის, რომ ნებისყოფა გამოიმუშავოს? გააცანით.


დიალოგიდან და მოიფიქრე შეწყვილებსთან ის, რომ ნებისყოფა გამოიმუშავოს? გააცანით.

გრამატიკა

<p>დიალოგიდან და მოიფიქრე შეწყვილებსთან ის, რომ ნებისყოფა გამოიმუშავოს? გააცანით.</p>	<p>დიალოგიდან და მოიფიქრე შეწყვილებსთან ის, რომ ნებისყოფა გამოიმუშავოს? გააცანით.</p>
---	---

წყარო: <https://socialjustice.org.ge/ka/products/gamotovebuli-sachiroebeli-interesebi-da-istoria-kartuli-enis-stsavlebis-problema-sakartvelos-azerbaijanel-temshi>

დანართი 6: TRUPPS: ნდობა- პოლიტიკური პარტიები (%)



წყარო: <https://caucasusbarometer.org/ge/cb2021ge/TRUPPS/>

დანართი 7: კითხვარი ექსპერტებისთვის, მკვლევრებისთვის და აქტივისტებისთვის:

შენიშვნა: რესპონდენტებს უნდა განემარტოთ ინტერვიუს მიზანი. ასევე, რომ შეუძლიათ სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეწყვიტონ ინტერვიუს პროცესი.

- რომელ შემთხვევებში მიზეზებს გამოყოფდით ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციის კუთხით?

2. რა გავლენები, შედეგები მოაქვს თქვენ მიერ დასახელებულ მიზეზებს როგორც ეთნიკურ უმცირესობებისთვის, ისე მთლიანად სახელმწიფოსთვის?
3. თქვენს მიერ ჩამოთვლილი მიზეზებიდან, რომელს გამოყოფდით მისი მნიშვნელობის მიხედვით?
4. როგორ ფიქრობთ არა დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებში ენის არ ცოდნის საკითხი რა შედეგებს განაპირობებს მათი პოლიტიკური ჩართულობის კუთხით?
5. რა შეიძლება გაკეთდეს საქართველოს მხრიდან ეთნიკური უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ასამაღლებლად?

დანართი: 8

კითხვარი დმანისის იუსტიციის თანამშრომლისთვის

შენიშვნა: რესპონდენტებს უნდა განემარტოთ ინტერვიუს მიზანი. ასევე, რომ შეუძლიათ სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეწყვიტონ ინტერვიუს პროცესი.

1. რამდენად ხშირად მოგმართავდნენ ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობები სახელმწიფო სერვისების მისაღებად?
2. როგორი იყო ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების ნდობა ამ სერვისებისადმი და იქ დასაქმებული ადამიანებისადმი?
3. რამდენად ადეკვატურ მომსახურებას იღებდნენ ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობები იუსტიციის სახლში ვიზიტისას?
4. რა სახის დაბრკოლებები წარმოიშვებოდა იუსტიციის სახლსა და ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობებს შორის სახელმწიფო სერვისების მიწოდებისას?

დანართი: 9

კითხვარი საქართველოდან წასული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის:

შენიშვნა: რესპონდენტებს უნდა განემარტოთ ინტერვიუს მიზანი. ასევე, რომ შეუძლიათ სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეწყვიტონ ინტერვიუს პროცესი.

1. რამდენი წელია რაც საქართველოდან საცხოვრებლად ერევანში გადახვედით?
2. რამ განაპირობა განძიდან თქვენი წასვლა?
3. რა პრობლემებს აწყდებოდით საქართველოში ცხოვრებისას?
4. რამდენად მისაღები იყო საქართველოში სწავლების დონე, როდესაც განძაში ცხოვრობდით?
5. როგორ ფიქრობთ, სკოლა უწყობდა თქვენს სოციალიზაციას, როგორც საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად?
6. აპირებთ თუ არა საქართველოში დაბრუნებას? (თუ არა, რატომ?)

გამოყენებული ლიტერატურა

1. „არჩვენები ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში - ძირითადი ტენდენციების და პრაქტიკების ანალიზი“, Socialjustice, (13 ოქტომბერი, 2021).
<https://socialjustice.org.ge/ka/products/archevnebi-etnikuri-umtsiresobebis-regionebshi-dziritadi-tendentsiebis-da-praktikebis-analizi>
2. „ალტერნატიული ანგარიში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის შესრულების სახებ“, (EMC&საია, 2020).
https://socialjustice.org.ge/uploads/products/covers/ICCPR_1600760941.pdf
3. „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას გააძლიეროს უმცირესობების სოციალური და პოლიტიკური ინტეგრაცია“, socialjustice: (22 აგვისტო, 2022).
<https://socialjustice.org.ge/ka/products/gaeros-adamainis-uflebata-komiteti-moutsodebs-khelisuflebas-gaadzlieros-umtsiresobebis-sotsialuri-da-politikuri-integratsia>
4. მიქელაძე. თამა, „ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები“, (თბილისი, Socialjustice, 2020).
<https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-mimart-ganatlebis-politikis-sistemuri-gamotsvevebi>
5. „მიგრაციის სალდო“, საქსტატი(2021).
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>
6. მენაღარიშვილი ზურაბ, „სკოლაში მხოლოდ ქართული წერა-კითხვა ვისწავლე“ – ეთნიკური უმცირესობების გამოწვევები“, Netgazeti, (22.12. 2020)
<https://netgazeti.ge/news/504122/>
7. მოსახლეობის დემოგრაფია, საქსტატი, (2022).
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>
8. ზვიადაძე. სოფო & ჯიშკარიანი. დავით, “იდენტობის პრობლემატიკა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებში და მისი პოლიტიკური და სოციალური განზომილებები“, (თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2019).
<https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf>
9. კუნჭულაია. ლელა, “გიორგი გახარია: პანკისტან მიმართებით შეცდომა დავუშვით“, (radiotavisupleba: 05. 02.2019).
<https://www.radiotavisupleba.ge/>
10. „ეთნიკური უმცირესობებისთვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება“, (Socialjustice: 13 სექტემბერი, 2021).
<https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebistvis-politikur-tskhovrebashi-monatsileoba-kvlav-mnishvnelovan-gamotsvevad-rcheba>
11. „ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ“, (ევროკომისია: 05.02.2021).
https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/air_2020_1.pdf
12. „ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები“ (თბილისი: EMC, 2020).
<https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf>

13. კანდელაკი. სალომე, „ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში: პოლიტიკური ჩართულობის ბარიერები“, (თბილისი: GIP, 2020).
- <https://gip.ge/wpcontent/uploads/>
14. პერტაია. ლუკა, „მარნეული და ბოლნისი დაიკეტა – კარანტინი“, (Netgazeti, 23.03.2020);
- <https://netgazeti.ge/news/436606/>
15. „სახელმწიფო შეფასება ქართული, როგორც მეორე ენა VII კლასი“, (Naec, 2019).
- <https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/Georgian%20as%20Secund%20Language%20019.pdf?fbclid>
16. „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში“ (თბილისი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2021).
- <https://smr.gov.ge/uploads/Files/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/wliuri-angarishi.pdf>
17. „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“, (თბილისი: საქართველოს მთვარობა, 2021).
- https://smr.gov.ge/uploads/Files/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/danarti_1.pdf
18. „სუსტი ვაქცინაციის პროცესი უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში“ (socialjustice, 27.10.2021).
- <https://socialjustice.org.ge/ka/products/susti-vaktsinatsiis-protsesi-umtsiresobebit-dasakhlebul-regionebshi>
19. „ნდობა - პოლიტიკური პარტიები“ (2021) CRRC;
- <https://caucasusbarometer.org/ge/cb2021ge/TRUPPS/>
20. ტაბატაძე შალვა & გორგაძე ნათია, „ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისათვის“, (თბილისი: UNWOME, 2015).
- <https://cciir.ge/images/pdf/axali%20dokumenti.pdf?fbclid=IwAR2LclCChCYpTV3oYgQO6Xclj1MPkQtRSH7ySsUH96cv8djNq6sVLLXmr4>
21. შალიაშვილი მარიამ & ხალილილი აითაჯ, „გამოტოვებული საჭიროებები, ინტერესები და ისტორია - ქართული ენის სწავლების პრობლემა საქართველოს აზერბაიჯანელ თემში“. (Socialjustice: 27მარტი, 2020).
- <https://socialjustice.org.ge/ka/products/gamotovebuli-sachiroebebi-interesebi-da-istoria-kartuli-enis-stsavlebis-problema-sakartvelos-azerbai.janel-temshi>
22. ცხადია. გიორგი, “რატომ უნდა გეშინოდეს ყალბი ახალი ამბები“. [Radiotavisupleba: 21.01.2019](https://www.radiotavisupleba.ge/a/) <https://www.radiotavisupleba.ge/a/>
23. “ხედვა პოლიტიკური პარტიებისთვის მუნიციპალიტეტების ძირითადი საჭიროებების და პოლიტიკური ინტერვენციების შესახებ“, (socialjustice & ღია საზოგადოება, 2022).
- <https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E>

[1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_1632999392.pdf](https://cesko.ge/ge/archevnebi/2020)

24. „2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები“ (Cesko,2020).
<https://cesko.ge/ge/archevnebi/2020>
25. „2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები“ (Cesko ,2016).
<https://cesko.ge/ge/archevnebi/2016>
26. Gurr. R. T. „Why Men Rebel“, (England: Routledge, 2012).

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)



ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108 თბილისი, საქართველო



ტელ: +995 32 2 921514



ელ-ფოსტა: info@idfi.ge



